



# საერთაშორისო მყიდველთა პროგრამა Farmfair International 2017

## ზოგადი ინფორმაცია

ნორსლენდსი, რომელიც მდებარეობს ედმონტონში, ალბერტას პროვინციაში, წარმოადგენს კანადის ერთ-ერთ უძველეს და ყველაზე განვითარებულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. ის ორგანიზებას უწევს მრავალ ღონისძიებას, მათ შორის, კანადის ყველაზე მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო გამოფენას Farmfair International-ის (FFI) დაწყებული გენეტიკიდან და შინაური ცხოველებიდან, დასრულებული უახლესი ტექნოლოგიით, ეს გამოფენა წარმოადგენს უნივერსალურ ბაზარს მწარმოებლებისა და ინდუსტრიისთვის.

საერთაშორისო მყიდველთა პროგრამა კვალიფიციურ, შინაური ცხოველების საერთაშორისო მყიდველებს აძლევს შესაძლებლობას დაესწრონ FFI მთავარ ღონისძიებებს და დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები ალბერტას სოფლის მეურნეობის მწარმოებლებთან, ექსპორტიორებთან და დარგის ლიდერებთან.

FFI-ის პროგრამაში მონაწილე კვალიფიციურ მყიდველებს აუნაზღაურდებათ ეკონომ კლასის ავიაბილეთის ღირებულების 50% და დღიური ხარჯი 200 კანადური დოლარის ოდენობით FFI-ის ჩატარების განმავლობაში. შენიშვნა: თუ 2 ან მეტი დაფინანსებული მყიდველი იყოფს სასტუმროს ოთახს, დღიური ხარჯი ნაწილდება შესაბამისად. ანაზღაურებას დაქვემდებარებული ხარჯები მოიცავს ავიაბილეთის, ბარგის და საცხოვრებელ ხარჯებს FFI-ის საერთაშორისო მყიდველთა პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის მონაწილეებს ეძლევათ ინდივიდუალური მარშრუტი მათი სტუმრობის განმავლობაში, მათ შორის, FFI-ის გამოფენის ღონისძიებები, საერთაშორისო მიღება, შინაური ცხოველების სპეციფიური ღონისძიებები და დამატებითი პროგრამები, როგორცაა ფერმის და ინდუსტრიის ტურები. შესაძლებელია FFI-ის ფარგლებს გარეთ აქტივობების დაგეგმვა, თუმცა, აუცილებელია შესაბამისი მოთხოვნა დაფიქსირდეს განაცხადის (აპლიკაციის) წარდგენისას. ძირითადი ღონისძიება ჩატარდება 2017 წლის 7-12 ნოემბერს.

გარდა ამისა, საერთაშორისო მყიდველთა პროგრამის ყველა მონაწილე და FFI-ზე წინასწარ დარეგისტრირებული საერთაშორისო სტუმრები მიიღებენ სხვადასხვა სახის სარგებელს: გამოფენაზე უფასო დაშვებას, საერთაშორისო სასოფლო-სამეურნეო ბიზნეს ცენტრის (International AgBusiness Centre) წევრობას, სასტუმროს შეღავათიან ტარიფებს FFI-ის მასპინძელ სასტუმროებში, ფერმის და ინდუსტრიის ტურების შერჩევის შესაძლებლობას, განსაკუთრებულ ღონისძიებებს და სხვა!

## მოთხოვნები

- თითოეული რანჩოდან/ფერმიდან/ერთეულიდან დაფინანსდება ერთი ადამიანი.
- პროგრამაში პირველად მონაწილეობა.
- აპლიკაციაში შემდეგი სახის ინფორმაციის მითითება: ზოგადი საკონტაქტო ინფორმაცია, სახეობები/ჯიშები, სულადობა და გენეტიკური ინტერესი (მაგ. ანგუსის ჯიშის ემბრიონების ძიება), ასევე, თუ რატომ გასურთ პროგრამაში მონაწილეობა.
- შერჩეულმა მყიდველებმა უნდა წარმოადგინონ ქვითრები და ანგარიშგება 2017 წლის 24 ნოემბრამდე. დამატებითი დეტალები გეცნობებათ თანხმობის შემთხვევაში.

**როგორ წარვადგინოთ განაცხადი:** ონლაინ რეგისტრაცია შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: [www.farmfairinternational.com](http://www.farmfairinternational.com)

**ბოლო ვადა:** 1 სექტემბერი, 2017 წ. მონაწილეებს შერჩევის შესახებ ინფორმაცია ეცნობებათ 2017 წლის სექტემბრის შუა რიცხვებისთვის.

## კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

Northlands Agriculture Department  
P.O. Box 1480  
Edmonton, AB T5J 2N5  
Phone: 780.471.7300

Stacy Felkar  
International Marketing Manager  
Phone: 780.491.3431  
Email: [sfelkar@northlands.com](mailto:sfelkar@northlands.com)

Updated: March 14, 2017



[farmfairinternational.com](http://farmfairinternational.com)